

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №7

06/09/2020 წელი

ქ. ბათუმი
12⁰⁰ საათი.

- სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.
- სხდომას ესწრებოდნენ:** ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნივა, კობა გაბაიძე, კახაბერ ჯაიანი, დოდო ონიანი, ირაკლი გვარამია და დავით ჯინჯოლავა.
- არ ესწრებოდა:** რამაზ ფირცხალაიშვილი.
- აგრეთვე ესწრებოდნენ:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში 2020 წლის 31 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლები უსკოში.
- მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მიულოცა პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნულ უსკოს წევრებს დოდო ონიანს, ირაკლი გვარამიას, რამაზ ფირცხალაიშვილს, რომელიც საპატიო მიზეზით ვერ ესწებოდა კომისიის სხდომას და დავით ჯინჯოლავას უსკოს წევრად დანიშვნა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში პარტიების მიერ უსკოს დროებით წევრებს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილება, უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე, უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში. პარმენ ჯალაღონიამ კომისიას გააცნო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ უსკოს წევრებად დანიშნული წევრები, ქალბატონი დოდო ონიანი, ბატონი ირაკლი გვარამია და ბატონი რამაზ ფირცხალაიშვილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/47 თარიღი 02/09/2020 წელი) და მოქალაქეთა პოლიტიკური

გაერთიანების „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ დანიშნული უსკოს წევრი ბატონი დავით ჯინჯოლავა (უსკოში რეგისტრაციის №01-26/54 თარიღი 02/09/2020 წელი), რის შემდეგაც, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება

საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ;

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახის დადგენის შესახებ;

4. განკარგულება

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ;

5. განკარგულება

დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება

საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ;

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახის დადგენის შესახებ;

4. განკარგულება

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ;

5. განკარგულება

დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ;

1. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო, „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით უსკო უფლებამოსილია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებზე გასცეს შრომის ანაზღაურება, უსკოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.

აზრი გამოთქვას:

კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალალონიამ.

კახაბერ ჯაიანი მიესალმა უსკოს გადაწყვეტილებას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე შრომის

ანაზღაურების გაცემის შესახებ. ასევე, აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულ წევრებს საარჩევნო ოლქებში არ ეძლევათ საოლქო საარჩევნო კომისიის კონკურსანტთა ჟურნალის ფოტოასლის გაკეთების საშუალება.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ ოპოზიციური პარტიების მიერ საარჩევნო პერიოდში დანიშნულ წევრებს აქვთ იგივე უფლებები და ვალდებულებები რა უფლებები და ვალდებულებებიც გააჩნიათ ცესკოს მიერ დანიშნულ წევრებს, შესაბამისად, თუ არის რაიმე სახის პრობლემები საარჩევნო ოლქებში უნდა იქნეს აღმოფხვრილი, ხოლო რაც შეეხება ხსენებულ საკითხს, ის მოწესრიგებულია საარჩევნო კანონმდებლობით.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის, იმ საოლქო საარჩევნო კომისიების და მათი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ახორციელებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას“ N53/2020 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში №79; №80; №81; №82; №83 და №84 საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებზე და კომისიის წევრებზე ყოველთვიურად გაიცეს თანამდებობრივი სარგოს და ყოველთვიურად გასაცემი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ №299/2017 განკარგულებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ“, განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საჭიროა საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ხარჯების გამოყოფა. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო ოლქებისათვის გამოყოფილია თითოეულისათვის 875 ლარის ოდენობის საწვავი.

აზრი გამოთქვას:

დავით ჯინჯოლავა და პარმენ ჯალაღონიამ.

დავით ჯინჯოლავა დაინტერესდა რამდენად მიზანშეწონილია თითოეული საარჩევნო ოლქისთვის

თანაბარი რაოდენობის საწვავის გამოყოფა მათი ტერიტორიული და რელიეფური მდებარეობიდან გამომდინარე.

ნოდარ მელაძემ, აღნიშნა, რომ საარჩევნო ოლქებისთვის არ არის საკმარისი საწვავის ის რაოდენობა, რასაც უსკო გადასცემს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ერთდროულად ტარდება საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, გარკვეული რაოდენობის საწვავს აღნიშნულ ოლქებს ცესკოც გამოუყოფს.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ უსკოს ამ ეტაპისათვის არ გააჩნია მეტი ფინანსური შესაძლებლობა და სწორედ ამიტომ იქნა მიღებული არსებული გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის 01 სექტემბრის N5 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი იქნას საწვავის ხარჯი შემდეგი ოდენობით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯები (გადაზიდვის ხარჯები)
1	79	ბათუმი	875
2	80	ქედა	875
3	81	ქობულეთი	875
4	82	შუახევი	875
5	83	ხელვაჩაური	875
6	84	ხულო	875
სულ			5250

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში მოხდება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრა შესყიდვის მომენტისათვის ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით.

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ განკარგულების საფუძველზე უსკოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში საწვავის შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტალონური სისტემით უსკოს წევრებზე და საოლქო საარჩევნო კომისიებზე გადაცემა.

4. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ მათთვის გადაცემული საწვავის მიზნობრივად გამოყენება და ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახის დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახის დადგენის შესახებ“, განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

დავით ჯინჯოლავა, ჯახაბერ ჯაიანი და პარმენ ჯალაღონია.

დავით ჯინჯოლავა დაინტერესდა პარტიული სიის შევსება და წარდგენა მატერიალურად უნდა მოხდეს თუ ბეჭდვითი სახით ელექტრონულად.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე თუ პანდემია უკონტროლო იქნება უსკომ იმსჯელოს და გადაწყვიტოს ელექტრონულად მოხდეს პარტიული სიის წარმოდგენა თუ მატერიალურად.

ჯახაბერ ჯაიანი დაინტერესდა პარტიული სიის მესამე გრაფაში, „მაჟორიტარული სარჩევნო ოლქის ნომერი“, იწერება ოლქის ნომერი და მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი, თუ მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი.

პარმენ ჯალაღონიამ, განმარტა, რომ გრაფაში, „მაჟორიტარული სარჩევნო ოლქის ნომერი“, საარჩევნო კანონმდებლობიდან გამომდინარე უნდა ჩაიწეროს მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახის დადგენის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის წარსადგენი პარტიული სიის სახე;

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

4. განკარგულება

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო, „საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ“, განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციის შინაარსისა და ფორმის (ანკეტის) დადგენის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ, ასევე საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ დამკვირვებლის/დამკვირვებელთა შესახებ, უმაღლესი საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაციის შინაარსი და ფორმა (ანკეტა) დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთად)

5. განკარგულება

დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო, „დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ“, განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

დავით ჯინჯოლაავამ და პარმენ ჯალაღონიამ.

დავით ჯინჯოლავა დაინტერესდა დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარმოდგენა რა წესით უნდა მოხდეს ელექტრონულად თუ მატერიალური სახით.

პარმენ ჯალალონიამ განმარტა, რომ დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარმოდგენა მოხდება მატერიალურად, რადგან განაცხადების ელექტრონულად მიღებისათვის შესაბამისი პროგრამა უსკოს არ გააჩნია.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განაცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 47-ე მუხლის მე-8 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამკვირვებლის რეგისტრაციის შესახებ განაცხადების ფორმა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალალონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე